რექტორის ბრძანების დანართი 1

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტური
სასწავლო-კვლევითი პროექტების კონკურსის პირობები

მუხლი1. ზოგადი დებულებები

1. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (ბტუ) სტუდენტური სასწავლო-კვლევითი პროექტების კონკურსის მიზანია ბტუ-ს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის პროცესში კვლევის ინტეგრაციისა და თემატური და/ან ინტერდისციპლინური მიმართულებით კვლევითი აქტივობის განვითარების წახალისება, სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდა, აკადემიური დონის ამაღლება და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;
2. სტუდენტური სასწავლო კვლევითი პროექტების დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის წესით;
3. კონკურსის პრიორიტეტული მიმართულება და მონაწილეობის პირობები განისაზღვრება ბტუ-ს რექტორის ბრძანებით.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობა და კონკურსის პირობები

1. საგრანტო კონკურსის ფარგლებში ფინანსდება განაცხადები, რომლებიც ითვალისწინებს სტუდენტურ სამეცნიერო–კვლევით პროექტებს, წარდგენილს შემდეგი სასწავლო საფეხურის სტუდენტების მიერ:
   ა) ბაკალავრიატი,
   ბ) მაგისტრატურა,
   გ) დოქტორანტურა;
2. ყოველწლიურად ბტუ-ს რექტორის მიერ შესაძლებელია შერჩევით განისაზღვროს საგრანტო კონკურსი ამ მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“, „ბ“ და/ან “გ” ქვეპუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი კატეგორიისათვის;
3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ბტუ-ს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს;
4. კონკურსის მონაწილე ბაკალავრიატის სტუდენტს უნდა ჰყავდეს კვლევის ხელმძღვანელი, ხოლო მაგისტრატურის/დოქტორანტურის სტუდენტს - სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი;
5. აპლიკანტს შესაძლებელია ჰყავდეს კონსულტანტი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება პროექტში აღწერილ კვლევის სფეროს;
6. აპლიკანტს კონკურსზე შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი პროექტი.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ 2 და მაქსიმუმ 6 თვე;
2. პროექტისთვის ბტუ-დან მოთხოვნილი დაფინანსება უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ სქემას:

სწავლების საფეხური	ბტუ-დან მოთხოვნილი თანხის მაქსიმალური ოდენობა
ბაკალავრიატი	1000 ლარი
მაგისტრატურა	1500 ლარი
დოქტორანტურა	2000 ლარი

3. ბტუ-დან მოთხოვნილი დაფინანსება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

ა) სტიპენდია - არ უნდა აღემატებოდეს ბტუ-დან მოთხოვნილი თანხის 25%-ს;

ბ) სასწავლო-კვლევითი პროექტის განხორციელების ხარჯი;

გ) პროექტის შედეგების გავრცელებასთან დაკავშირებული ხარჯი (კონფერენციაში მონაწილეობა, პუბლიკაციის გამოქვეყნება და სხვა).

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტები

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი პროექტის დოკუმენტაცია მოიცავს:
   - განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 2),
   - სტუდენტის, კვლევის/ნაშრომის ხელმძღვანელისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიები (CV, დანართი 3),
   - საპროექტო წინადადება (დანართი 4),
   - პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (დანართი 5),
   - პროექტის განხორციელების ბიუჯეტი და დასაბუთება (დანართი 6),
   - კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი.
2. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით;
3. პროექტის დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენაზე პასუხისმგებელია სტუდენტი.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებულმა სტუდენტმა საკონკურსო დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს არაუგვიანეს **2024 წლის 11 ნოემბრის 18:00 საათისა;**
2. საპროექტო წინადადება, პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი, პროექტის ბიუჯეტი უნდა გაერთიანდეს ერთ PDF ფაილად და დაერქვას პროექტის სათაური;
3. პროექტის წარმდგენი სტუდენტის, ხელმძღვანელისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიები (CV), ასევე კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი უნდა გაერთიანდეს მეორე PDF ფაილში, დაერქვას - პროექტის განმახორციელებელი პერსონალი;
4. ორივე PDF ფაილი, კონკურსში მონაწილეობის განცხადებასთან (PDF ფორმატში) ერთად უნდა გამოიგზავნოს ელ.ფოსტაზე: info@btu.edu.ge
5. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის განაცხადი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს რეგისტრაცია.

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

   ა) კონკურსის გამოცხადება

   ბ) განაცხადების რეგისტრაცია

   გ) განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზა

   დ) განაცხადების შეფასება

   ე) გამარჯვებული სტუდენტების გამოვლენა
2. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ჩაუტარდება დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზა;
3. ბტუ უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას განაცხადი, რომელიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, წარმოდგენილია არასრული ან ყალბი ინფორმაცია.

მუხლი 7. პროექტების შეფასება და დაფინანსების წესი

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების შეფასდება კომისიის მიერ;
2. კომისიის შემადგენლობას და ფუნქციონირების წესს განსაზღვრავს ბტუ-ს რექტორი;
3. დაფინანსების მოსაპოვებლად, ქულების მიხედვით კეთდება პროექტების რანჟირებული სია თითოეული სასწავლო საფეხურისთვის ინდივიდუალურად (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა);
4. დაფინანსდება მხოლოდ საუკეთესო პროექტები რანჟირებული სიების მიხედვით (ზემოდან ქვემოთ), სანამ კონკურსისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი იძლევა პროექტის სრულად დაფინანსების საშუალებას;
5. თუ გამარჯვებულ პროექტთან რაიმე მიზეზით ვერ მოხერხდა საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება, მაშინ მის ნაცვლად დაფინანსდება ერთიანი რანჟირებული სიიდან რიგით მომდევნო პროექტი, რომელიც აკმაყოფილებს დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელ პირობას.

მუხლი 8. პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. კომისიის მიერ პროექტი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმები და განმარტებები	შესაძლო ქულები			
1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი	**1**	**2**	**3**	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 3 ქულა
კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება; კვლევის მიზნები და ამოცანები; კვლევის მეთოდოლოგია.				
2. აკადემიური კომპონენტი	**1**	**2**	**3**	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 3 ქულა
სტუდენტის აქტივობა, ხელმძღვანელის და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კომპეტენციების შესაბამისობა კვლევის თემატიკასთან.				
3. პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა, პროექტის ბიუჯეტი	**1**	**2**	**3**	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 3 ქულა
პროექტის გეგმა-გრაფიკის განხორციელებადობა და შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან; პროექტის ბიუჯეტის დასაბუთება.				
ჯამური ქულა				მინიმუმ 3 მაქსიმუმ 9 ქულა

2. შეფასების სამი კრიტერიუმდან (1 – სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, 2 – აკადემიური კომპონენტი, 3 – პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა) თითოეული კრიტერიუმი ფასდება 3-ქულიანი სისტემით. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 9 ქულა.

კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

შეფასება ქულით	**შეფასება**	**განმარტება**
1	სუსტი	პროექტი მცირედ პასუხობს, შეუსაბამოა ამ კონკრეტულ კრიტერიუმთან, შეინიშნება სერიოზული, არსებითი სუსტი მხარეები
2	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არადამაკმაყოფილებელია
3	კარგი	პროექტი კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. არის ორიგინალური და აქვს სამეცნიერო პოტენციალი.

3. კონკურსში გამარჯვებისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 6 ან მეტი ქულა.
4. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, შემდგომ მეორე და მესამე კრიტერიუმში.

მუხლი 9. ხელშეკრულება

1. ბტუ-ს რექტორის მიერ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ბტუ უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას კონკურსში გამარჯვებული პროექტის წარმდგენ სტუდენტთან;
2. საგრანტო ხელშეკრულება ითვალისწინებს პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უფლებით სარგებლობას ქვეყანაში მოქმედი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გამარჯვებული სტუდენტი ვალდებულია ბტუ-ს რექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად წარმოადგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ანგარიში;
2. სასურველია პროექტის დასრულების შემდგომ კვლევის შედეგების გავრცელების მიზნით სტუდენტის მიერ ადგილობრივ/საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება, და/ან სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება ადგილობრივ/საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდიკაში.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტური სასწავლო-კვლევითი პროექტების კონკურსის დანართები (საკონკურსო ფორმები)

- AF-RC-03_08.2024.G_განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე;
- AF-RC-03_09.2024.G_კონკურსის მონაწილეთა რეზიუმე;
- AF-RC-03_10.2024.G_საპროექტო წინადადება (სტუდენტური სასწავლო-კვლევითი პროექტი);
- AF-RC-03_11.2024.G_ პროექტის განხორციელების გეგმა - გრაფიკი;
- AF-RC-03_12.2024.G_პროექტის ბიუჯეტი.